



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 04 თებერვალი

**დისციპლინური საქმე №186/19-1
მოსამართლე --- მიმართ**

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 15 ნოემბრის №186 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ - მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის №475/186-03 წერილით მოსამართლე --- -- ეცნობა №186 საჩივრის შემოსვლის და მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის №476/186-03 წერილით განხორციელდა საქმის მასალების ასლების გამოთხოვა.

1. საჩივრის (საჩივრების) ავტორის მიერ მითითებული გარემოებები

მოსამართლე --- -- არ გადაახდევინა აპელანტს ბაჟი სათანადო ოდენობით, რაც საჩივრის ავტორის აზრით, მიუთითებს მის მიკერძოებულობაზე. ასევე, აპელანტს არ დაურთავს საქმეზე რაიმე სახის მტკიცებულება და თუ მას მართლა მიაჩნდა, რომ საჩივრის ავტორის მოქმედებით რაიმე ზიანი მიადგა, ისედაც ჰქონდა 1 წლის მანძილზე დრო, რომ მიემართა სასამართლოსათვის. თუმცა, აპელანტს ეს არ გაუკეთებია.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

2.1. 2018 წლის 26 ივნისს --- -- სარჩელით მიმართა --- -- -- სასამართლოს მოპასუხის, --- -- წინააღმდეგ და მოპასუხის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ვინდიცირება მოითხოვა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე --- --.

2019 წლის 9 სექტემბერს --- -- -- სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარმოადგინა --- -- მოპასუხემ - --- მიმართ ზიანის 6000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით.

2019 წლის 13 სექტემბრის განჩინებით შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

2019 წლის 18 სექტემბერს -- -- წარმომადგენელმა კერძო საჩივრით მიმართა სასამართლოს და 2019 წლის 13 სექტემბრის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

2.2. -- -- 2019 წლის 18 სექტემბრის კერძო საჩივარი 2019 წლის 10 ოქტომბერს განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- -- .

2019 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხარეს გადასახდელი ქონდა სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად).

2019 წლის 23 ოქტომბერს -- -- განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და 2019 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით განსაზღვრული, ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი ვადის გაგრძელება ითხოვა. 2019 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, -- -- ხარვეზის აღმოსაფხვრელად დამატებით მიეცა 3 დღე. მხარეს 2019 წლის 24 ოქტომბრის განჩინება ჩაბარდა 2019 წლის 30 ოქტომბერს.

2019 წლის 01 ნოემბერს -- -- სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის 50 ლარის ოდენობით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარუდგინა.

2019 წლის 06 ნოემბრის განჩინებით კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

2019 წლის 29 ნოემბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე (განჩინება არის საბოლოო და არ საჩივრდება).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოსადმი კერძო საჩივრით მიმართვისას, მხარე ვალდებულია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი. იმავე კოდექსის 39-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კერძო საჩივარზე ბაჟის ოდენობა არის 50 ლარი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივარი უნდა პასუხობდეს სარჩელისათვის დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული კოდექსის 178-ე მუხლის 2¹ ნაწილი ითვალისწინებს, რომ „სარჩელს უნდა ერთოდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი).“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, „კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.“ იმავე კოდექსის 372-ე მუხლის მუხლის თანახმად, „საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ...“ თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარზე არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, „... სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს.“ აღნიშნულ გადაწყვეტილებას მოსამართლე იღებს განჩინების სახით (368-ე მუხლის მე-6 ნაწილი).

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2019 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი. ხარვეზის შევსების, მხარის მიერ სახელმწიფო ბაჟის 50 ლარის ოდენობით გადახდის შემდეგ, კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. ამდენად, მოსამართლე უფლებამოსილი იყო მიეღო განჩინება მხარისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებით და შესაბამისად, ის მოქმედებდა საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით.

მოსამართლე -- -- განჩინება მიიღო მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- 2019 წლის 15 ნოემბრის №186 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი